# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

**ხელის-მოწერა მიიღება.** თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კომ). სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°).*

№ 16 შაბათი — IV — 15 სექტემბერი, 1871 წ.

**შინაარსი:**

საზოგადო საქმეები: ერობა (*Земство*) მისი დანიშნულება და წესდება.—ორთქლის მაშინა.—ერთი მებატონის მოთხრობა ცხვრის ჯოგზე რუსეთში.—რა გავლენა აქვთ სახლებს და ადგილებს კაცის სიმრთელეზე.—ბუნების მეცნიერებიდგან.

## საზოგადო საქმეები

### ერობა (*Земство*)

### მისი დანიშნულება და წესდება

### I

### სოფელი, მაზრა და სახელმწიფო

ყოველი სახელმწიფო შემდგარია სხვა და სხვა ნაწილებიდგან, რომელთაც საზოგადოთ მაზრებს ეძახიან და ეს მაზრები, მათი მხრით სოფლებიდგან არიან შემდგარნი, რომელთაც სხვა და სხვა ოჯახების კრება შეადგენს. სოფელში თითოეულ ოჯახს თავისი საკუთარი საჭიროება აქვს, თავისი ადგილ-მამული, თავისი საქმე, შემოსავალი და ხარჯი. ამ ხარჯს გარდა, ყველა ოჯახებს, რომელნიც კი სოფელს შეადგენენ, აწევს კისერზე მთელი სოფლის საჭიროება: ამ ოჯახებმა უნდა იზრუნოს სოფლის საერთო საქმეებზე, უნდა მოაგროვონ და დახარჯონ საერთო ხარჯი, ერთად უნდა მმართონ მთელი სოფლის საქმეები. ხშირად თვითონ სოფელსაც აქვს თავისი საკუთარი, ესე იგი, ყველა კერძო ოჯახების საზოგადო ადგილ-მამული, ტყე, სათიბი და სხვ. რომლის შემოსავალი და გამგეობა მთელ სოფელს ეკუთვნის, ამის მსგავსათ მაზრას, ესე იგი რამდენიმე სოფლების კრებას, აქვს თავისი საკუთარი საქმეები, მამულები, საჭიროება და ხარჯი, რომელიც საზოგადოა ყველა იმ სოფლების, რომელნიც ამ მაზრას შეადგენენ. ამისვე მსგავსათ მთელ სახელმწიფოს, რომელიც შემდგარია რამდენიმე მაზრის კრებიდგან, თავისი საკუთარი საჭიროება, მამულები და საქმეები აქვს, რომელნიც აგრეთვე საზოგადო არიან ყველა კერძო მაზრების, რომლებიდგანაც შემდგარია მთელი სახელმწიფო.

თანხმად ამ განყოფილებისა ყოველ სახელმწიფოში საზოგადო გამგეობა იყოფება სამ ნაწილად:

1) სოფლის (და მის მსგავსათ ქალაქის) გამგეობა, რომლის დანიშნულება მდგომარეობს სოფლის საქმების მმართვაში, სოფლის შემოსავლის შეკრებაში და მისი საჭიროების დაკმაყოფილებაში;

2) მაზრის (გუბერნიის და უეზდის) გამგეობა. რომელიც ყურს უგდებს სოფლების გამგეობებს და თან იმ საქმეებს მმართავს, რომელნიც შეეხებიან საზოგადოთ ყველა ამ მაზრის სოფლებს, ან რამოდენიმეს იმათგანს;

3) სახელმწიფო გამგეობა, რომელიც ზედამხედველობს მაზრების გამგეობებზე, და იმას გარდა ყურს უგდებს და მმართავს იმ საქმეებს, რომელნიც შეეხებიან საზოგადოთ ყველა ამ სახელმწიფოს მაზრებს ან რამოდენიმეს იმათგანს.

სხვა და სხვა სახელმწიფოებში ეს გამგეობები სხვა და სხვა ნაირად არიან გამართული, სხვა და სხვა გვარ უფროსების ან ამორჩეულ პირების ხელში არიან, მაგრამ ყოველგან კი საზოგადო გამგეობა მტკიცეთ განსაზღვრული და განყოფილია ამ სამ ნაწილად, ესე იგი სოფლის, მაზრის და სახელმწიფო გამგეობად.

### II

### ძველი და ახალი წესი გამგეობისა რუსეთში.

ამ უკანასკნელ დრომდი რუსეთში ეს სამივე გამგეობა ერთ და იმავე კალაპოტზე იყო გამოწყობილი. სახელმწიფო გამგეობა ეკუთვნიდა, როგორც ეხლაც ეკუთვნის, ხელმწიფე იმპერატორს; მაზრის გამგეობა ებარა მისგან დაყენებულ გუბერნატორებს და სოფლის გამგეობა გუბერნატორისგან დანიშნულ ჩინოვნიკებს. სოფლებში ეს ჩინოვნიკები თავიანთ შეხედულებისამებრ მმართვიდენ სოფლის საქმეებს, და პასუხს უგებდენ მხოლოდ გუბერნატორებს; მაზრებში გუბერნატორები მმართვიდენ აგრეთვე თავიანთი შეხედულებისამებრ, და აგრეთვე ეკითხებოდენ და პასუხს აძლევდენ მხოლოდ უმაღლესს მთავრობას... არც სოფლებს, არც მაზრებს არავინ ეკითხებოდა მათი საქმეების მმართვაში, და იმათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ თავიანთი აზრის, მხედველობის, საჭიროების და სურვილის გამოსათქმელად. მიღებული იყო, რომ სოფლების, მაზრების და საზოგა-

დოთ მათი მცხოვრებლების მაგიერ ფიქრობდენ, მოქმედებდენ და ზრუნავდენ დაყენებული ჩინოვნიკები, რომელნიც თავიანთ თავს მამებათ რაცხდენ, და—როგორც მამები—არაფერ რჩევას არ ჰკითხავდენ და ანგარიშს არ აძლევდენ თავიანთ მორჩილ შვილებს, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ [illegible]

ღვთის მადლით ამ უკანასკნელ დროს ეს მდგომარეობა საუკეთესოთ შეიცვალა. როგორც ნათქვამია 1 იანვრის 1864-ის უკაზში, ხელმწიფე იმპერატორმა «საჭიროთ სცნო მიეწოდა ადგილობრივი მცხოვრებლები, მათგამ ამორჩეული პირების საშუალებით სამართველოთ თითოეული გუბერნიის და უეზდის საქმეებისა, რომელნიც შეეხებიან ადგილობრივ საჭიროებას და სარგებლობას.» და ამ მიზნით სოფლის გამგეობა გარდაეცა სოფლის მცხოვრებლებისგან ამორჩეულ მამასახლისებს, მსაჯულებს და კეთილ-სინიდისიანებს, და მაზრის გამგეობა—მაზრის მცხოვრებლებისგან ამორჩეული დეპუტატების კრებას, რომელსაც ჰქვია ერობის კრება—*Земское собраніе.*

ხელმწიფე იმპერატორისგან დამტკიცებულ 1 იანვარს 1864 წ. სახელმწიფო რჩევის აზრში იპოვება ერთი მუხლი, მესამე, რომელშიაც ნათქვამია, რომ შინაგანი საქმეების მინისტრმა უნდა შეკრიბოს ცნობა, ადგილობრივი მთავრობის გამოკითხვით, თუ რა გზით და წესით შეიძლება «ერობის წესდების» გამოყენება იმ მაზრებში, რომელნიც განსაკუთრებითი წესით იმართვიან (ესე იგი პოლშაში, ფინლიანდიაში ციმბირში და ჩვენში), და წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს თავისი აზრი ამ საგანზე.—მაშასადამე ჩვენ შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენც გვეღირსება ეს ბედნიერება; ამისგამო, და ზოგი სხვა მიზეზითაც, ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ გავაცნოთ ჩვენი მკითხველები «ერთობის წესდებას,» მის დანიშნულებას, ხასიათს, საჭიროებას და სარგებლობას. რასაკვირველია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ აქ არც იმის გამოკვლევას შევუდგებით, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ეს წესდება შემოიღეს რუსეთში, არც იმისას, თუ რა მხრით ეთანახმება ეს წესდება სამზღვარ-გარეთელი სახელმწიფოების წყობილებას, და რომლით არა, არც იმისას, თუ რა ნაკლულევანება შეემჩნევა ამ წესდებას. ეს საგანი «ჩვენი საქმე არ არის» და არც საჭირო ჯერ-ჯერობით მისი გამოკვლევა. ჩვენთვის ესლახანს აუცილებლათ საჭიროა და საკმაოც არის ცოდნა, თუ რაში მდგომარეობს ის წესდება, რომელიც რუსეთში მოქმედობს აგერ ექვსი წელიწადია, და რომელსაც იქ ეძახიან «ერობის წესდებას 1 იანვრის 1864 წლისა,» (*Положеніе о земскихъ учрежденіяхъ 1-го января 1864 года*). ამ წესდების გამოკვლევას და გამოკრებით თარგმნას შევუდგებით ჩვენ ეხლა.

მაგრამ, მინამ ჩვენ ამ საქმეს ხელს მოვკიდებთ, ცოტათი დაწვრილებით უნდა გავიხსენოთ, რა და რა საქმე ითვლება სახელმწიფო საქმეთ, და რა და რა—სამაზროთ, ს ა ე რ ო ბ ო თ.

---

## III

### სახელმწიფო და სამაზრო საჭიროება და შემოსავალი

სახელმწიფო არის კაცების კრება, შემდგარი მარტო იმისთვის კი არა, რომ მთავრობას მიუთვისებიათ ზოგიერთი უფლებები და დაუმორჩილებიათ ასლომასლო მცხოვრებლები და სალხები. არა ამ კრების საფუძველი, სიმაგრე და ნამდვილი, ბუნებითი მიმზიდველი ძალა ის სარგებლობაა, რომელსაც ჰპოებენ ერთად შეყრილი პირები ერთმანერთის დაცვაში, დახმარებაში და ერთად ცხოვრებაში. ყოველთვის და ყოველგან სახელმწიფოს მიზნათ ჰქონია ადვილათ დაიცვას და ადვილად აცხოვროს ის პირები, რომლისგანაც თვითონ შემდგარია. ამისგამო, ის სახელმწიფო, რომელიც უფრო სინიდისიანათ და ნამდვილათ, ხეირიანათ ასრულებს ამ თავის დანიშნულებას, ყოფილა უფრო ძლიერათ დამყარებული საზოგადო დახმარებაზე და სიყვარულზე, და ის სახელმწიფო კი, რომელსაც ეს მიზანი დაუვიწყნია, მოსალოდნელა თავის დაღუპვას, გადადგომია თავის მოვალეობას.

მაშასადამე, სახელმწიფოს აქვს მოვალეობა დ ა ი ც ვ ა ს თ ა ვ ი ს ი წ ე ვ რ ე ბ ი, ესე იგი კერძო პირები, დ ა გ ა უ ა დ ვ ი ლ ო ს მ ა თ ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ესე იგი მისცეს თვითოეულს მათგანს ის, რისაც მოხერხება იმას თავისთავათ ვერ შეუძლია.—როგორც წინეთ ნათქვამი იყო, ეს მოვალეობა განყოფილია სამ ნაწილათ: რისიც მოხერხება არ შეუძლია თითოეულ კერძო პირს,—მაგალითად პატარა გზის ან ხიდის გაკეთება ერთ სოფლიდგან მეორემდი—იმას აკეთებს მთელი სოფელი ერთად; და ამნაირათ რისიც გაკეთება და მოხერხება მთელ სოფელს შეუძლია, ის მის მოვალეობას შეადგენს, როგორც კერძო პირის მოვალეობაა ის, რისიც მოხერხება იმას თვითონ მარტოსელა ან თავის ოჯახის დახმარებით შეუძლია.—ამას გარდა არის ზოგი ისეთი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებას ვერ ახერხებს ვერც მთელი სოფელი: მაგალითად ავიღოთ ერთი ქალაქიდგან მეორემდი, ვთქვათ ქუთაისიდამ თფილისამდი, გზის გაჭრა, ან ხეირიანი საავათმყოფოს ანა და სასწავლებლის გამართვა. ამ ნაირი საჭიროების დაკმაყოფილება არის მთელი მაზრის მოვალეობა, თუ ეს მაზრა იმოდენათ შეძლე და მოხერხებულია, რომ თავის თავათ შეუძლია ამ მოვალეობის შესრულება. და რისიც შესრულება და დაკმაყოფილება არ შეუძლია არც კერძო პირს, არც სოფელს, არც მაზრას,—იმ საჭიროების დაკმაყოფილება აწევს გადათ სახელმწიფოს, ესე იგი ყველა მაზრების კრებას. ამნაირია, მაგალითად, დიდი გზების გაყვანა, შეკეთება და უმაღლესი სასწავლებლების გამართვა, სწავლის წინ-წაწევა, მაზრების გამაგრება და დაცვა მტრისაგან, და სხვ. და სხვ. და სხვ.

რასაკვირველია, რომ ამ საჭიროების დაკმაყოფილებას საჭირია საშუალება, ფული, შრომა და ძალა. ამისგამო სოფელი თავის მხრით ჰკრეფავს ყველა კერძო პირებიდგან როგორც ფულს, ისე პიროვან შრომასაც, როცა სოფელს რამე საჭიროების დაკმაყოფილება სჭირდება. ამ ნაირათვე ჰკრეფს ფულს და შრომას მაზრაც, ყველა სოფლებიდგან, იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მაზრის საზრუნველო არიან: და სახელმწიფო თავის მხრით, ჰკრეფს როგორც ფულს, აგრეთვე პირად შრომას და სალხსაც, იმ მოვალეობის ასავსებლათ, რომელსაც ადევს იმაზე ყველა მაზრების საზოგადო საჭიროება.—თანხმად ამისა, გარდასახადიც სამ-ნაირია:

1) სასოფლო, 2) სამაზრო (*земскій сборъ*) და 3) სახელმწიფო (*сборъ на государственныя потребности* .

იმ წესდებებით, რომელნიც გამოიცენ 1863-ში და 1 იანვარს 1864 წელსა ადგილობრივ მცხოვრებლებს მიენიჭათ ნება თავიანთი სანდო პირების ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევით შედგენილ სასოფლო და სამაზრო გარდასახადი და ისარგებლონ იმ საზოგადოების დაწესებულებაზე, რომელიც აწყობს სოფელს და მაზრას. ჩვენ გვსურს აგწეროთ აქ ის წესდება, რომელიც შეეხება სამაზრო საქმეების მმართვას, საზოგადოებისგან ამორჩეული პირების ხელით.

# ორთქლის მაშინა

თავი და თავი-მიზანი მეცხრამეტე საუკუნისა ის არის რომ გზები შეამოკლონ და ცოტა დროებაში კაცს, შეეძლოს გავლა დიდი მანძილისა. აი ამ განზრახვით ანგრევენ გორებს და მთებს, აგსებენ ხევებს, სთხრიან, რუებს, აღრმავებენ წყლებს რამდენსამე საჟენზედ, აგრეთვე ცდილობენ კაცის მუშაობის მაგიერათ ამუშაონ ორთქლის მაშინები. ძრიელ ძნელია გაგება, სადამდის ექნება ორთქლის, მაშინას თავისი სამზღვარი: მაშინელით კი უნდა ჰქონდეს საზღვარი, რომელიც აღარ აღემატების ორთქლის ძალაზე. ესლანდელ საუკუნემდისინ სავაჭროს ეზიდებოდნენ საპალნის ცხენებით, ურმებით და ფურგუნებით, კაცები კი მოგზაურობდნენ ფოჩტით. ჩვენ რო შევადაროთ მოგზაურობა ძველის ხალხისა ესლანდელი ხალხის მოგზაურობასთან, ადვილათ შეგვიძლიან დავაფასოთ ღირსება და ნაკლულევანება ძველი მოგზაურობისა.

არ შეგვიძლიან დაბეჯითებით ვსთქვათ, როდის გაჩნდნენ პირველათ მალპოსტები; ჩვენ საკმაოდ მხოლოდ ის ვიცით, რომ ინგლისში 1,662 წელს იყო მარტო ექვსი; მაგრამ იმასაც საჭიროთ არა რაცხავდნენ; ერთი ორატორი ჯონროსელი ყოველივე ღონის-ძიებით ცდილობდა თავის თხზულებებში მოესპო ესენი, მაგრამ ამ კაცზე იყო ხმები, ვითომც ის იყო თანამოზიარე ინგლისის საზნაურო მაზრისა, რომლებიც ფრთხილობდნენ, რომ იმათ ცოლებს მინაური საქმეებისთვის თავი არ დაენებებინათ და ლონდონის ხალხთან არ დაეწყოთ მისვლა-მოსვლა, როდესაც ადვილი იქნებოდა. რო განვისილოთ მოასლოვებული დროება ჩვენ ვნახავთ 1742 წელს მალპოსტებს, რომლებიც წავიდოდნენ ლონდონიდგან საღამოს 8 საათზე, მეორე დღეს 10 ანუ 11 საათზე შრისბიურში მივიდოდნენ. 27 საათის განმავლობაში გაივლიდნენ 262 ვერსს.

მანამ რკინის გზას მოიგონებდნენ, 16 საათში გაირბენდა მალპოსტი 262 ვერსს. შრეს ბიურიდგან ჩესტერამდის, რომლების შუა არის 64 ვერსი, გაივლიდა სოლმე 12 საათზედ, სადაც იყო მშვენიერი გზა. მაინც და მაინც შიგ მსხდომნი არა რჩებოდნენ კმაყოფილნი და ხშირად ჩიოდენ სოლმე. (როგორ მიბძანებთ აგიხსნათ მიზეზი დაგვიანებისა?) იჩივლა ერთმა მწერალმა «კვარტელერევეთან»,—ხან კუპეცს მოუნდება მალპოსტის დაყენება შუა გზაზე საქმის ცულისთვის, ხან რომელსამე ბატონს მოუვა ფიქრათ თავის ნაცნობთან შებრუნება დილის ვიზიტზე, ნასვამ სათის გაივლის კუჩერი, მაშინ მოინდომებს [illegible] მირთმევას. რვესაში, სადაც დილიჟანი დაიჩერეს სოლმე სადილათ, დილიჟანში მსხდომელნი მოინდომებენ ეკკლესიის ნახვას, რომელიც არის შესანიშნავი მშვენიერის ჩუქურთმით და არის ერთი იმ საწყაულთაგანი გალისისა. ამ გვარი მიზეზები აძლევენ დაბრკოლებას მოგზაურთა.

იმას შემდეგ დილიჟანში მსხდომლები შეკრამდენ პირობას, რაც უნდა საქმე გამოსჩენოდათ გზაში, არ უნდა ჩაჩერებულიყვნენ, შემდეგ ისე ჩქარა დადიოდნენ მალპოსტები, რომ 40 საათში გაივლიდა 648 ვერსს საათში 17 ვერსს. საჩქარო დილიჟანი 20 საათში გაირბენდა 258 ვერსსა, რაც უნდა ცუდი გზა ყოფილიყო. დეომპოხისა 22 საათში გაირბენდა 367 ვერსს.

ამ გვარ სიჩქარით სიარულს აღტაცებაში მოჰყავდა ხალხი. რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენათ ცდილობდენ, რომ მოგზაურობა ჩქარი ყოფილიყო. შემდეგ მოინდომეს ორთქლის ძალით ეტარებინათ რკინის ვაგონები, იმის ძალით ანგარიშობდენ და ამბობდენ, რომ საათში 32 ვერსს გავივლითო. ბევრს შრომობდა რედაკტორი კვარტერლეი—რევისა, შესახებ მისა, რომ გაემართათ რკინის გზა ლონდონიდგან ვულიჩამდის. თავის თხზულებაში მკითხველებს არწმუნებდა იმაზე, ვულიჩელები იმას უფრო ირჩევენ, რომ დაეგლეჯინათ მუშხუნებით, ვინემც გაბედავდენ მაშინის ნდობას რომელიც გარბის საათში 29 ანუ 32 ვერსს. თუმცა წინათ [illegible] ფიქრები მოსდიოდა ხალხს თავში და ზოგი ერთი დიდ უარზე იდგნენ, მაგრამ გამოცდილმა კაცებმა იმნაირათ დაარწმუნეს პირველები, რომ გამოცდილობა აღსრულებაში მოიყვანეს,. ეხლა ყველამ ვიცით რკინის გზის დიდი ღირსება და მნიშვნელობა. ეხლა მიაწია იქამდის, რომ საათში გარბის 97—103 ვერსამდისინ.

სინამ რკინის გზას გამოიგონებდენ, გამართეს, ტრემორდები; («ტრემორდი» მომგონის სახელია) ამ გზას აკეთებდენ ამ გვარათ: ჯერ ერთ ადგილს გაასწორებდენ, სადაც გზას უნდა გაევლო, შემდეგ დააწყობდენ ფიცრებს, ფიცრებზე აქეთ-იქით დააწყობდნენ ოთხ კუთხიან ხეებს, რომლებსაც ეძახიან რელსებს. ეს რელსები თანასწორ 4 ფუთზე ერთი ერთმანეთთან აწყვია რამდენსამე ვერსზე და არის დანიშნული ვაგონისთვის. ამ გზის ღირსებამ იქამდის მიაწია, რომ ერთ ცხენს ადვილათ შეეძლო წაეღო 750 გან-900 ფუთამდის. პირველი რელსიანი, გზა გააკეთეს 1680 წელში ნიუკასტელში ქვის ნახშირის გადასატანათ მდტაიმსზე. შემდეგ ხის რელსები შესცვალეს რკინის რელსებზე, რადგანაც პირველები მალე ლპებოდნენ და ამასთანავე რკინაზე უფრო ადვილათ დარბის ურმის თვლები.

დოკტორი ჯემს ანდერსონი ერთს თავის დარიგებითი თხზულებაში ურჩევდა გაეკეთებინათ რელსებიანი გზები, რომ ადვილათ ეზიდნათ მიწის მოსავალი ერთი ადგილიდგან მეორე ადგილამდის. ბევრი სასარგებლო წინადადება მისცა ხალხს ამ გამოჩენილმა პირმა. სწერდა თავის თხზულებაში: «ერთ ადგილიდგან რომ მეორე ადგილამდის ანუ ქალაქამდის, გაკეთდეს რელსებიანი გზა და გაკეთდეს რამდენიმე ვაგონები ერთ ნაირი ზომისა, რომ თითო ვაგონში ჩაეტეოდეს 62 ფუთამდის სავაჭრო, შემდეგ დააწყოთ რამკებზე, რომლებიც არის მიკრული თვლების ღერძებზე. წაიღებენ ერთათ რამდენსამე ვაგონებს იმ ადგილიდგან მეორე ადგილას; იქ ახსნიან ვაგონებს, ამოალაგებენ ყველანი თავ-თავიანთ საქონელს და წაიღებენ სახლებში ანუ მაღაზიებში: იქიდგან ახლა სხვები სხვა სავაჭროს ჩააწყობენ და დაბრუნდებიან უკან. «ის დოკტორი ამასაც ამბობდა: ძრიელ კარგი

იქნება, რომ რელსები იყოს გამართული ყველა დიდ ქუჩებზე და პედინსტონის რუმდინ, სავაჭროები ქალაქში ყველა მხარეზე მოიფანტება ადვილათ და ცოტაც დაისარჯება, რუდგან ადგილათაც გაიგზავნება სხვა და სხვა შორეულ ადგილებში. შემდეგ ურჩევს, მთელს მაზრებში გამართონ ამ გვარი გზები და ამასთანავე უმტკიცებს, რამდენათ სასარგებლოა გზების გაკეთება. საჭიროა აგრეთვე მოვიხსენოთ ტ ო მ ა ს გ რ ე ი, რომელმაც მისცა წინადადება საზოგადოებას, რომ გაემართნათ რკინის გზა ხუყველა მხარეზე და ამ ჭაზრით დაბეჭდა 1820 წელს მთელი თხუზულება, სადაც ცხადათ დასხატა ვაგონები თავის თვლებით; იმანვე მოხაზრა და შეადგინა გზის პლანი ლ ი ვ ე რ პ უ ლ ი დ გ ა ნ მანჩესტერამდი პირველად ამ პლანის შედგენისათვის ის შეთვალეს, ოკნებიან კაცათ. ხოლო 1845 წელს სრულებით ღირსეულათ მიიღეს იმისი შრომა. უილსონი მოგვითხრობს, რომ გერეიმ, დაბეჭდის წინათ, გარდამეცა თავის ნაშრომიო და წარმოსთქვა საწინასწარმეტყველო სიტყვებიო: «ამაში არის დამალული საჭირო ულელი ქვეყნის განათლებისა, მოგზაურები გაივლიან ცოტა დროში რამდენსამე ადგილებს. შედგება კამპანიები, დაიხარჯება რამდენიმე ფული და ეს წესები გავრცელდება ყველა ქვეყანაში. იმას დაიცმენ იმპერატორები, კოროლები და ლუბერნატორები, და წარმატება იმისი იქმნება თანასწორ წიგნის ბეჭდვისა,.

⁂

პირველი რკინის გზა გამართეს მანჩესტერის და ლივერპულის შუა. ეს გზა გამოაცხადეს ოკტომბერში 1824 წელს, გახსნეს 15 სეკტემბერს 1830 წელს. გზის გახსნის დროს დიდი პროცესსია იყო, დილის რვა საათზედ ლივერპულის საზოგადოება ეძებდა მაღალ ადგილებს, რომ კარგათ დეენახათ პროცესსია სადაც მიიღეს მონაწილეობა გერცოგმა ველამ სტონისა და სხვა გამოჩენილმა პირებმა, ვაგონებში მსხდომნი იყვნენ 772 მუზიკანტებით. 11 საათზე დაიძრა მაშინა და გარბოდა საათში 24 ანუ 25 ვერსს, ნელა მიჰყავდათ ამისთვის, რომ კომპანიას კარგა გაეშინჯა გზები, ისე უკეთესათ წავიდა საქმე, რომ ნახევარ წლის განმავლობაში რკინის გზით მიჰყავდათ 770000 ათასი, როგორც ანგარიშობენ, დღეში 1070 კაცები მიუყვანდათ.

როდესაც მანჩესტერში და ლივერპულში 29 მალპოსტები დადიოდა, დღეში მიჰყავდათ და მოჰყავდათ 688 კაცები. ამ გვარი ადვილი და იაფი მისვლა მოსვლით, რკინის გზები მოგვიტანენ დიდ სარგებლობას, უმეტესად ამისთვის რომ რამდენათ ადვილათ გვექნება მისვლა მოსვლა ერთმანეთში, იმდენათ განათლებაც და მზრუნველობაც წინ წაიწევს: ხალხი რო დაინახამს მიტან მოტანის სიადვილეს, მაშინ ერთგულათ მიჰყოფენ ხელს მიწის მუშაობას და ეკონომიურ ცხოვრებას, ისე აღარ დაფანტამენ, როგორც ეხლა ქართველებმა ვიცით, ერთ სადილზე რამდენიმე თუნგი ღვინო უნდა დავხარჯოთ. თუმცა რკინის გზა ძრიელ სარგებლობას მოგვიტანს, მაგრამ იმის კეთებაზედ ხდება საშინელი წინააღმდეგობა და დაბრკოლება. მაგ. ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ მანჩესტერს და ლივერპულს შუა რკინის გზის გაკეთება გამოაცხადეს 1824 წელს. 1825 დასაწყისს წელს პარლამენტს მისცეს თხოვნა, რომ შემდგარიყო ახალი კანპანია; მაგრამ უკანვე დაუბრუნეს თხოვნა, რადგანაც მამულის პატრონებმა არ მოიმდომეს. 1826 წელს მეორეთ მისცეს თხოვნა და აღსრულებაშიაც მოიყვანეს, მუშაობაც დაიწყეს ივლისში. მეორეთ ძნელი ის იყო, რომ ლივერპულის შუა და მანჩესტერის შუა 56 ვერსია, ლივერპული $9^1/_2$ საჟენით დაბლაა მანჩესტერაზე; რასაკვირველია საჭირო იყო, რომ ეს დაბლობი ადგილი ამოემსოთ, იმის გასასწორებლათ მოთხარეს 21.0000000 კუბ. ფუთი მიწა. ზოგიერთ დაბალ ადგილებში 861,000 ფუთი მიწა ჩაყარეს, 63 ხიდი გააკეთეს; თქვენ იფიქრეთ, რამდენი ფული მოუნდებოდა! განსაკუთრებითი დამაბრკოლებელი მიზეზი უფრო ის იყო, რომ გზის ხაზი მიდიოდა ჩეტმოსკოე ტბაზე, რომელსაც $9^1/_2$ ვერსი სიგანე ჰქონდა. ეჭვნეულობდენ აქ გზის გაკეთებას, ამისთვის რომ ამ ტბას ზოგიერთ ადგილას $6^1/_2$ ნახევარი ანუ 7 საჟენი სიღრმე ჰქონდა. თუმც ეს დიდ სიძნელეს წარმოუდგენდა, მაგრამ არ გასულა სამი წელიწადი, რომ რკინის გზამ ზედ სიარული დაიწყო. აღმოსავლეთის მხრივ, რომელსაც ვერს ნახევარი სიგრძე ჰქონდა მიწით ამოავსეს სამი საჟენით მაღლა დააყენეს, მაგრამ სიმძიმე მიწისა აღრმავებდა ტბას. ერთის სიტყვით რამდენიმე ათასი ფუთი მიწა ჩაყლაპა ამ ტბამა.

ამაზე ნაკლები ხარჯი აღარც ხანვეის ხევს მოუნდა, რომელიც უნდა ამოემსოთ მიწით, ახლა რამდენიმე გორები გახვრიტეს, ერთი გორის გახვრეტაზე მუშები დღე და ღამ მუშაობდნენ, მუშებმაც უარი გამოაცხადეს იმას მუშაობაზედ, რადგანაც ძრიელ ძნელი იყო. ის გორა გახვრიტეს სიგრძით 59000 ფუტი, სიმაღლით 1133 ფუტი, სიგანით 48 ფუტი. ის გორები შიგ განათებულია გაზით, პოლები და კედლები გათეთრებულია კირით. მოგზაურები დარწმუნებულები უნდა იყვნენ ინჟინრების ცოდნაში და ხელოვნებაში, ამისთვის რომ იმათზეა დამოკიდებული იმათი ბედი და უბედურება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მაშინა გაირბენს გახვრეტილ გორებში. წინ დაინახამენ თუ არა სხვა მამავალ მაშინას და საყვირის ხმას გაიგონებენ, ინჟინერი მაშინას მაშინვე შეაყენებს, ჯერ პირველი გაატარებს, მერე იმისი მაშინაც წავა წივილით. ეხლა სრულებით უშიშრათ მივდივართ და მოვდივართ, რაკი შევეჩვიეთ, მართლათაც დილიჟანში უფრო საფრთხო მიუძღოდა კაცს, სინამდისინ ეხლა რკინის გზებში.

ამ რკინის გზებზე ნაანბობიდგან ცხადათ სჩანს იმის უაღმატებულესი სარგებლობა, მაგრამ წინეთ იმას დახვდა ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები, ამას აუდგენ მამულის პატრონები ზოგი ერთი მიწების წახდენის გულისთვის, ისინი თავიანთ პიროვნულ სარგებლობას მეირათ აფასებდენ და თავს აყენებდენ საზოგადოების სარგებლობაზე. ჩიოდენ კიდევ იმისთვის, რომ რკინის გზა გასწყვეტამს ცხენის ჯიშსა; გაკოტრდებიან კუჩრები და კონდუკტორები და საზოგადოებაც უნდა გადმობრუნდეს თავდა ყირაო. ამ საჩივრებისთვის რომ ყურადღება მიექციათ, საქმე ძრიელ ცუდათ წავიდოდა, მაგრამ როცა კარეტები მოშალეს, კუჩრებს სხვა თანამდებობა გამოუჩნდათ რკინის გზებში. ბევრი უარს ამბობდა იმ დაბალი ხალხის მილებაზე, ამ საქმეში ვერ გამოდგებიანო, მაგრამ საქმეში კარგად გამოდგნენ. მამულის პატრონები არ აძლევდენ ნებას, რომ რკინის გზას იმათ მამულზედ გაევლნა; ზოგი ერთნი ჩიოდენ განა მარტო პარლამენტში, ქუჩებშიც კი ფიზიკური ძალით ნებას არ აძლევდენ, ყოვლის მხრით ცდილობდენ თავიანთ მამული ინჟინერებისთვის არ გაესინჯიებინათ, არამთუ უშლიდენ, თავებს ამტვრევდენ და იარაღებს ლუკმა ლუკმა უმცეკდენ. რადგანაც ნებას არ აძლევდენ, ინჟინერები პარლამენტს მოზომილობასაც არ უდგენდენ. შემდეგში მემამულე-

ბმა დაუწყეს ბევრი ფულების თხოვნა, ზოგი ერთნი თხოულობდნენ საჩუქარს უბრალო რაზემე, მაგალითებრ: ერთი უფალი ფულებს თხოულობდა იმის გულისთვის, რომ რკინის გავლის დროს ცხენები დამიგიჟდნენო. ერთმა ფერმერმაც იჩივლა: «აჩემმა ძროხებმა აღარა მოიწველესრაო,» ვითომ მიზეზი რკინის გზა იყო და თხოულობდა ფულებსა. ზოგ-გიერთ ქალაქებშიც უკმაყოფილონი რჩებოდნენ, ახლო ნუ გამოატარებთ რკინის გზასაო. როცა გაიმართა რკინის გზა მერე თვითონ ეხვეწებოდნენ ქალაქები რკინის გზით შეაერთეთო. პლანების შედგენის დროს, 1845-და-46-წელში, რომელიც იყო მინდობილი გასაშინჯათ, იმდენი იყო პლანები, რომ თავიანთ ლიტოგრაფიაში ვერ მოასწრეს დაბეჭვდა და გამოიწერეს საზღვარ გარედგან 400, და მთელი დღე დაღამე სულ მუშაობდნენ. ბევრი შრომა უნდება რკინის გზის კეთებასა, სინამ, მიწას კეთებას დაუწყობენ წინათ კომპანია შესდგება იმათ შორის ამოირჩევენ დირექტორს, ისინი უნდა იყვნენ მდიდრები და მცოდნე საქმისა, ამასთანავე გამოჩენილი კაცები უნდა იყვნენ. სეკრეტარიც გამოცდილი უნდა იყოს მოგზაურობაში; უნდა იყვეს ინჟინერიც და მატემატიკიც. შემდეგ ამოირჩევენ ინჟინერებს; ამორჩეული ინჟინერები, როცა გაათავებენ საქმეს თავიანთ საქმის გვარათ, როცა გადასწყვეტენ რკინის გზის გამართვასა, კომპანია, აღმორჩეული ჩინოვნიკები, დაიწყებენ ცდილობას და გამოკვლევას, თუ როგორია ვაჭრობა იმ ორ ქალაქსა-და-ქალაქ შუა.

ხალხი მიმავალ—მომავალი რამდენია წელიწადში, საკუთარ ყარაულებს დააყენებენ იმისთინა ადგილას, სადაც ყველა მოგზაური გაივლის; ისინი სთვლიან, რამდენმა სავაჭრომ გაიარა, რამდენმა დილიჟანში მსხდომმა, მთელი ორი თვე ეგრე სთვლიან და ანგარიშობენ, დღეში რამდენმა გაიარა, აგრეთვე იკვლევენ მიზეზებს, ერთ დღეში ბევრმა რათ გაიარა, და მეორე დღეს ცოტამ. ამ ცნობებს შეჰკრეფამენ და გამოიანგარიშებენ, რამდენი ექნება რკინის გზას შესავალი წელიწადში. ინჟინერიც თავის მხრით დაიწყობს ცდილობას გამოიკვლიოს მიწა როგორია, რკინის გზას შეუძლიან იაროს, თუ არა, ამისთვის სხვა და სხვა ადგილებში სთხრის მიწას, რომ გაიგოს, რომელი უფრო კარგია რკინის გზისთვის. შემდეგ შეადგენს ცნობას ყველა გვარი მიწისას და წარუდგენს კომპანიას. კომპანია ამოირჩევს, რომელიც უფრო საჭიროა და წარუდგენს პარლამენტს და ამასთანავე გაგზავნიან თავიანთ აგენტს (მუკაცს) იმ აზრით, რომ პარლამენტის წევრები აღსრულებულნი იყვნენ. როგორც საქმე გათავდება თუ არა, მაშინვე ინჟინერი შეადგენს სმეტას, რამდენი გორა უნდა გახვრიტონ, რამდენი ხიდი უნდა გააკეთონ, თავი და თავი სამუშაო რაც არის ფოდრაჩიკებს მიანდობენ; ერთი ფოდრაჩიკი კანდრაქტით შეეკვრის კომპანიას, ის კიდევ სხვებს მისცემს ფოდრატით. ზოგჯერ ამოირჩევენ რამდენსამე ფოდრაჩიკებს: ზოგს ხიდებს მიანდობენ, ზოგს გორების გახვრეტას და ზოგს ხევების ამოვსებას, ესენიც სხვებს მისცემენ ფოდრატით და ამუშავებენ იქამდის, მანამდისინ სულ არ მორჩებიან ხიდებს, სტანციებს, გორების გახვრეტას, მერე დააწყობენ რელსებს, ლოკომატებს შააყენებენ რელსებზე, ვაგონებს ერთი ერთმანეთს მოაბმენ რამდენსმე. ჯერეთ პოლიცია გაშინჯავს, თუ კარგათ არის და სავნებელი არ სად არის, რკინის გზის მაშინას გაუშვებენ, რომელიც წავა საშინელის წივილით და ზარის რეკით, რაკი რკინის გზა გაიხსნება, დახარჯული ფულები წვრილ წვრილათ შემოვა.

სიფთხილის გულისთვის არის გამართული სიგნალი, რომელიც წინეთ მოგზაურს ძრიელ გაუკვირდება, მაგრამ ძრიელ კარგი რამ არის. ნიშნები სიგნალისა ამ გვარია:

ღამე: თეთრი ცეცხლი ნიშნავს სიმშვიდიანობას, მწვანე აჩვენებს, რომ ნელა წამოვიდნენ, წითელი უბრძანებს, რომ მაშინვე დადგნენ.

დღისით: დასტვენა დღე და ღამ ანიშნებს რკინის გზის მოახლოვებას, თუ უკანა ვაგონზე არის ჩამოკიდებული თეთრი ფიცარი დღისით, ანუ ღამე, იმას ფარანი აჩვენებს რომ მალე გამოივლის მეორე მაშინაც ,

ღრუბლიან დღეში სხვა ნაირი ფთხილობა უნდა, ჩქარ ჩქარა უსტვენენ, თუ უნდათ, რომ დააყენონ მაშინა რომელსამე ადგილას, ან იმის წინ რელსებზე დაზდებენ ერთ გვარს რასმე რომელიც გასკდება და იმისი ხმით გაიგებენ. სუყველა ეს ცხადათ გვაჩვენებს, როგორ ფთხილობენ, რომ რკინის მაშინა არ წასდეს და არ დაიღუპნენ შიგ მსხდომელნი.

---

## ერთი მებატონის მოთხრობა თავის ცხვრის ჯოგზე რუსეთში

რაკი ჩემი ცხვრის ჯოგზე ჩამოვარდა ლაპარაკი მე უნდა ვთქვა, თუ რამდენი შრომა და ჯაფა გამიწევია ჩემი ჯოგის გაუმჯობესობაზედ და ბოლოს რა გამოცდილება მიმიღია,- სულ ყველაფერი დაწვრილებით უნდა გიამბოთ.

რადგან კარგათ მესმოდა თუ რა დიდი საქმე იქნებოდა ცხვრების გაუმჯობესობა და იმის გამრავლება რუსეთის სახელმწიფოს ოჯახობისთვის, მე პირველათვე, როგორც რომ დავიწყე ოჯახობა, ჩემი ღონე და ცდა პირველათ სულ ცხვრების გაშენებას მოვანდომე. არ დავმალავ, რომ რაც გამოცდილება და ცოდნა მოვიმკე ამ შემთხვევაში თითქმის ნახევარი სულ ბიძა ჩემისაგან ვისწავლე, რომელიც თავის დროზე ძალიან მეცადინე და კარგი ცხვრის მაშენებელი იყო. შემდეგაც თუ ასე ვიშრომე, იმედი მაქვს კიდევ უფრო გავაუმჯობესებ ცხვრის ჯოგსა, და ეს დიდს წარმატებას მისცემს ჩვენი მხრის აღებ-მიცემობას. დიდის სიამოვნებით გავუზიარებ მეთოხველებს რაც გამოცდილება შევიძინე ამ ათი წლის მუშაობაში. ცხვრის მაშენებელი მებატონენი რა სარგებლობასაც აქედგან შეიძენენ იმედი მაქვს იმათი სრულებით დაჯილდოვდება ჩემი შრომა და ნათლად დამიმტკიცებს, რომ ჩემს ათი წლის შრომას უნაყოფოთ არ ჩაუვლია.

1838 წელს მე ვცდილობდი იმზომამდე გამეუმჯობესებინა ჩემი ცხვრები, რომ სრულებით ნათლად იმათი თვისებით, რაც მე წინათვე გულში გამოვიხატე: წარმომედგინა მე მინდოდა რომ ჩემი ცხვრები ყოფილიყვნენ სრულნი და მაგარი აგებულებისანი, რომ სრულებით შეჩვეოდნენ ჩვენი მტერე რუსის მინდვრის ჰავასა, ცივი ფარეხები ეგებინათ, არც მაინ-

ცა და მაინც მარტო კარგი თივა ეხმარათ საკვებათ, ჰქონებოდათ რგვალი თავი, სულ მატყლით შემოსილი, სქელი მატყლი და მკერდზე და ფერდებზე ტყავი ნაოჭებათ რომ ჰქონოდა დაურილი და კისერზე რომ მატყლი შარფათ ჰქონოდა შემოხვეული, მსხვილი და მოკლე მატყლიანი ფეხები, მკერდზე დიდი ღაბაბი გაჰკეთებოდა. ასე განსხვავებული გვარის ცხვარი იმით გავაშენე, რომ დიდს ურადღებას ვაქცევდი ნეზვებისა და ვერძების მოყვანილობას და შემდეგ მიუშვებდი ერთ მანეთზე; რომელიც თვალში არ მომეწონებოდა, თუ არც ერთი ის თვისება არ ჰქონდა, რომელიც მოსაწონათ მიმაჩნდა, იმას ჯოგს არ მივაკარებდი.

* * *

ჩემის აზრით ამისთანა მაგარი აგებულების ცხვარს არ უნდა ეშინოდეს არც სიცხისა, არც წვიმისა და სუბუქი საკვებითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რომლის უკეთესს ჩვენი მკელებული ოჯახობა ვერ მოახერხებს; ჩემი კანტორის წიგნებიდგან სჩანს, რომ ცხვრის მოსაშენებელი უნდა დაებარებინათ სილეზიიდგან ორასი ნეზვი ცხვარი და ოთხი ვერძი ამას გარდა გადექასტისგან თორმეტი ვერძი და გრაფის ვერბნისგან ორმოც და ათი ნეზვი ცხვარი.

1818 წელს ცხვრის ჯოგით სახელგანთქმულ იზუმის უეზდის მებატონისაგან იყიდეს ხუთას ორმოცი ნეზვი და ათი ვერძი. 1830 წელს რუმიანცოვის ზავოდში გომელისაგან იყიდეს ბარე ოცდა ათი ნეზვი ცხვარი და ვერძები ინფანტიდოს გვარისა. ინფანტიდო ნიშნავს ისპანიურად მეფის წულის ცხვრებსა, რომელნიც თვისი სიკეთით არიან მთელს ქვეყანაზე სახელგანთქმულნი.

ჩვენს ადგილებში გვარის გასაკეთებლათ თვითონ მე ვყიდულობდი კარგი ჯიშის ცხვრებსა, ქვემოხსენებულ მებატონეებისაგან: აბაზის, მერცალოვისა, რუმიანცოვისა, კოტლიარევსკისა და რიმსკი კორსაკოვისაგან. ბიძა ჩემი ფიდლერი მეტი არ შეიძლება იმეთი მოყვარული იყო ცხვრებისა, არ ზოგავდა არც შრომას, არც ფულს თავის ჯოგისთვის და მთელი ოცი წელიწადი გულს მოდგინებით ცდილობდა, რომ მცირე როსსიაში გაეშენებინა წმინდა მატყლოვანი ცხვრები.

1849 წელს მე შევიძინე მემკვიდრეობით იმის მშვენიერი ჯიშის ცხვრის ფარა. მას აქეთ კანონიერად და ნიადაგ ურის გდებით მე ვცდილობდი შემენახა და კიდევ გამეკეთებინა საუკეთესო თვისებანი ამა ჯოგისა. თვითონ მე მყავდა იმდროს თექვსმეტი ათასი თავი ცხვარი და ბიძასგანაც თუთხმეტი ათასი მერგო; ამათში შვიდმეტი ათასი დავიწუნე საშენებლათ და გავყიდე საკლავათ, მას აქეთ იმას კი არ ვცდილობდი, რომ ბევრი მყოლებოდა, უფრო იმას ვცდილობდი, რომ კარგი თვისებისა ყოფილიყო; ვცდილობდი რომ მატყლი თან და თან დაწმენდოდათ და მმიმეც ყოფილიყო, სიმსუქნე მომატებოდა და დიდის ურის გდებით ვარჩევდი ვერძებსა და ნეზვებს საშენებლათ.

ამ ჟამად ჩემი ჯოგი სულ წმინდა სისხლის ინფანტიდოს, ესკურიალის *) და საქსონიის ჯიშის არის. უნდა ვთქვათ რომ ეს სამი ჯიშის ცხვარი მთელ ხმელეთზე საუკეთესო ჯიშათ ითვლება. 1852 წელს რამდენიმე ვერძი და ნეზვი ცხვრები მოვიყვანე ავსტრიის იმპერატორის და პრუსიის კაროლის ჯოგებიდგან. მე დიდათ მომწონს ეს ცხვრები მაგარი აგებულებით. მშვენიერი სქელი და თანასწორი მატყლი აქვთ. საკვირველი თანასწორი და მშვენიერი ცხოვლეში არიან. ფეხები მუსლებამდის გმელი მატყლით აქვთ შემოსილნი, ეს ცხვრები ექვს ოქროთ ვიყიდე; თითო ამ ცხვრების მატყლი ჩემ ცხვრების მატყლზე ცოტას იწონის ერთი ნახევრათ და ამისთვის არ მინდა შეურიო ჩემ ჯოგში. იმედი მაქვს რამდენსამე ხანს შემდეგ წონაზე, იმდენათ იმატებს იმათი მატყლი, რომ შეიძლება გავურიო ისინი ჩემს ჯოგში.

* * *

რაცა ვსთქვი აქედგანაც ცხადათ სჩანს, რომ ჩემს ჯოგს საზღვარ გარეთიდგან მოყვანილი ცხვრებით გაუმჯობესობა არ უნდა, მაგრამ რადგან ყოველს ჯოგს დრო გამოშვებით უნდა განახლება, ამისთვის მე ვფიქრობ მომავალში როცა საჭირო იქნება რუსეთიდგან დავიბარო ხოლმე საშენებელი ცხვრები. რაც უფრო ვაკეთებ ჩემი ჯოგის ცხვრებსა, იმდენათ უფრო მიძნელდება კარგი ჯიშის ვერძები და ნეზვების შოვნა. როგორც შემინიშნავს ზოგიერთს წელს უფრო კარგათ ვარგობს კარგი ჯიშის ცხვრების მოშენება და ზოგიერთ წლებში კი არა.

(გაგრძელება იქნება).

*) ესკურიალი არის ესპანიის მეფის საზაფხულო ადგილ სამყოფი.

## რა გავლენა აქვსთ სადგომ სახლებს და ადგილებს კაცის სიმრთელეზე?

როგორც ჩვენ საქართველოში აგრეთვე ინგლისშიაც სახლებს ბუხრებს დაატანენ ხოლმე და იმაში ანთებენ ცეცხლს სახლების გასათბობად; ბუხარი იმით არის კარგი, რომ ოთახში [illegible] ცუდ ჰაერსა სწმენდავს; მაგრამ ასეა ფერიც კი ბევრი ნაკლულევანება აქვს, ეს ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი შეშა უნდება; ბუხრიდამ გამოსული სითბოსი მერვე ნაწილი რომ დარჩეს სახლში მეტი არ დადგება; უფრო მომეტებული ნაწილი უნაყოფოდ ადის მაღლა ბუხარში. ამას გარდა სახლი თანასწორად არა თბება, ბუხრის ახლოს მალიან თბილა და მოშორებით კი მალიანა ცივა. თუმცა ბუხრიდამ გამოსული სითბო კედლებამდის ვერ მიდის, მაგრამ მაინც შეიძლება ოთახში იმისთანა ადგილი ვიპოვოთ, სადაც სითბოს ვიგრძნობთ; მაგ. როცა ბუხარს მიუახლოვდებით მალიან დაგვთბება და როცა მოვშორდებით შეგვცივა. ხშირათ კარებებიდამ და ფანჯრებიდამ ცივი ჰაერი შემოდის და ოთახის ფილაქანი ისე ცივდება რომ შიგ-მდგომთ ფეხებზე უსათუოდ თბილად უნდა ჩაიცვან. ბუხრებს ბევრი უბედურება მოსდევთ და ამისათვის მალიან დიდი გაფთხილება მართებთ ყველა ბუხრიან სახლის პატრონებს. გახურების დროს ბუხრიდამ ხშირად ისე გამოვა ხოლმე ბოლი, რომ სახლი თითქმის სრულიად იტენება. ამის მიზეზი ის არის, რომ ბოლის ასავალი მილი ან სულ მალიან ვიწროა და ან სულ განიერი, რის გამოც ჰაერი კომლის ასავალში ნელ-ნელა ცივდება და ისევ უკან ბრუნდება. ბუხრის საკომლეში მაშინ უფრო ვერ ადის ბოლი, როდესაც სახლი ყველა მხრიდამ დახურული არის და ჰაერი არსაიდამ შემოდის ამის მიზეზი ის არის რომ კომლი ვერა სძალავს იმ ჰაერს, რომელიც ზეიდამ აწევს და ამისათვის უკანვე ბრუნდება ხოლმე; და როდესაც ფანჯრიდამ ან კარებიდამ ჰაერი შემოდის მაშინვე ეს აღარ მოხდება, ამისთვის რომ გარედან შემოსული ჰაერის ძალა მიემატება კომლის ძალას დასძლევენ ბუხარში მყოფ ჰაერს და მაშინ კარგათ ავა. კომლის ასავალ მილებზე დიდი გავლენა აქვსთ ჩრდილოეთის ქარებს და ამისათვის ამაში ხშირად მალიან ცივი ჰაერი იმყოფება ხოლმე. რაც უნდა მალიან კარგათ ავაშენოთ ბუხარი ამ ნაკლულევანებაებს მაინც ვერ ავცდებოდით. ამისათვის ბუხრების ხმარებას უმჯობესი იქნება თავი დავანებოთ.

ჰაერით გათბობაც უფრო სრულებით არ შეიძლება; იმას შექვს ოთახებში მალიან ბევრი ხმელი ჰაერი, რომელიც თავის მაღალი ტემპერატურით (სითბოთი) ცდილობს გაიყენოს ორთქლებით და არ იძლევს, იმათ იმსვენებს, რომლებიც მის გარშემო იმყოფებიან, მებლებს და ხალხებს, ამისგან წარმოსდგება ხოლმე უქეიფობა და თავის ტკივილი. თუ გვსურს რომ ხმელი ჰაერი ნოტიო ჰაერათ გადავაქციოთ, ამისთვის ოთახში წყლით სავსე პირგანიერი ჭურჭლები უნდა დავდგათ. სხვათა შორის ჰაერით თვითეული ოთახის გახურება არ არის სასარგებლო. ამნაირი ჰაერით გათბობა ოთახების უფრო სასარგებლო იქნება დიდ სასახლებში, სადაც შეშა ბევრი იხარჯება. ესევე შეიძლება ვსთქვათ ორთქლით ანუ წყლით სახლების გათბობაზე. ორთქლით სახლების გათბობას არავის არ ვურჩევთ, ორთქლს შეუძლიან წამლის მსგავსათ ივეთქოს და სახლში უბედურობა დააბრუნოს. ამას გარდა ორთქლის შეწყვეტის უმალვე სახლი ცივდება ამისათვის ამ გვარად ოთახების გათბობას არა ხმარობენ.

თუმცა წყლით გათბობა მალიან საშიში არ არის, მაგრამ აქაც მოხდება რომ ოთახში გაყვანილი მილი გატყდება და იქიდამ წყალი დაიწყებს ოთახში დენას, რისა გამოც მცხოვრებლებს უდრო უდროოთ შეაწუხებს. ამ ნაირად სახლის გათბობა ყველაზე უკეთესი არის და შედარებით ცოტა დასაწვავი შეშაც უნდება. ამისათვის ამ გვარ გათბობას ხმარობენ იმ სახლებში, სადაც ოთახების თანასწორი გათბობა უნდათ და არც დასაწვავი შეშა ენანებათ. ამ გვარ გათბობას დიდი ხარჯი უნდება და აი ეს არის მიზეზი ამის გაუვრცელებლობისა. მომართულება მდგომარეობს შემდეგში: ქვემო ატაკაში დასდგამენ ფეჩზე წყლით სავსე თითბრის ქვაბს და მაგრა დახურამენ თავსა. იმისგან ადის გასათბობელ ოთახებში ორი მილი, რომლებიც ერთი მეორეზე ქვემოდამ იწყება. მილი, რომელიც მაღლიდამ იწყობა, გადის ოთახებში და ჩადის იმ თითბრის ჭურჭელში, რომელიც მისთვის არის მომზადებული ფეჩის მსგავსად, ანუ სხვა რომელიმე ჭურჭელში, რომელსაც შეეძლება ბევრი სითბოს გამოშვება; აქედამ მილი კიდევ გადის და ჩადის სხვა ჭურჭელში, რომელიც ჩარდახში სდგას, მეორე მილი აერთებს ქვაბსა ჩარდახში დამდგარ ჭურჭელთან. ეს უკანასკნელი თავ-ახდილი არის და წყლით ავსებს ქვაბს და სხვა მილებს. თუ ეხლა ქვაბს გავაცხელებთ, მაშინ თბილი და უფრო მსუბუქი წყალი იწევს ზევით, ის მიაღწევს ზემოთ მილამდისინ და ამ სახით მიდის იმ ოთახში, რომელიც გასათბობად გვინდა, მასში დამდგარ ფეჩის მსგავს ჭურჭელში; აქედამ მიდის სხვა ოთახში და ჭურჭელში, ათბობს ოთახებს და ყველგან უშვებს სითბოს, სანამ იგი არ მიაღწევს მაღლა დამდგარ ჭურჭლამდე. ამ უკანასკნელიდამ ქვაბში ჩადის სხვა მილით თბილი წყლის მაგივრათ ცივი წყალი. ამ სახით თბილი წყალი უვლის გარშემო მთელ სასახლეს და ათბობს ჰაერს მალიან ადვილათ. ამ დროს ოთახის ჰაერი ხმელათ გვეჩვენება, იმისთვის რომ თბილი ხდება; იგი უსიამოვნოდ გვეჩვენება მაშინ, როდესაც მალიან გათბება, ამ სახით გახურება, ოთახებს თუმცა ათბობს, მაგრამ ცუდი ჰაერის გაწმენდა კი არ შეუძლიან.

თუ გვსურს, რომ ფეჩს სითბო დიდ ხანს არ ელეოდეს და არც უცბათ ცივდებოდეს, ამისათვის საჭიროა, რომ ფეჩი სითბოს დიდხანს ინახავდეს. კარგ ფეჩს უნდა ჰქონდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგი თვისება: 1) მასში შეშა უნდა იწვებოდეს, რაც შეიძლება ძალიან ჩქარა, ამისათვის, რომ რაც გვიან დაიწვება იმდენი უფრო ბევრი სითბო ადის კომლის ასავალ მილში; 2) ის უნდა იყვეს გაკეთებული იმ გვარი ნივთისაგან, რომელიც სითბოს ჩქარა ავრცელებდეს და შეეძლოს ბევრი სითბოს მიღება გასათბობად ოთახისა; 3) იმას უნდა შეეძლოს სითბოს შენახვა, რომ ცოტ-ცოტად გადასცეს ოთახის ჰაერს. ადვილი გასაგებია, რომ ვერ გავაკეთებთ ამისთანა ფეჩს, რომელსაც შეეძლოს ამ მოთხოვნილებების ასრულება ანუ დაკმაყოფილება.

რკინის ფეჩი არის კარგი სითბოს გამავრცელებელი და ასრულებს პირველ ორ მოთხოვნილებას, საკუთრივ მაშინ, როდესაც იგი არის თხელი რკინისაგან გაკეთებული და აქვს მაღალი კომლის ასავალი მილი. როდესაც მილი ძალიან მაღალი არის და შეშაც უცბათ და კარგათ იწვება, მაშინ რასაკვირველია მილში ცოტა სითბო ავა. რადგანაც რკინა კარგი გამავრცელებელია სითბოსი, ამისთვის ოთახის ჰაერს ძალიან ადვილად და მალე გაათბობს; მაგრამ თანასწორად კი არა, რადგანაც ჰაერი ცუდი გადამტემია სითბოსი, თუმცა ჰაერი ფეჩის ახლოს თბილი არის, მაგრამ მოშორებით კი ცივია რისგამოც ამ ნაირი უთანასწოროდ სახლის გათბობა მცხოვრებლებისათვის ძალიან მავნებელია. მაგრამ უმთავრესა ნაკლულევანება რკინის ფეჩისა ის არის, რომ ვერ ასრულებს მესამე მოთხოვნილებას, ვერ ინახავს დიდხანს სითბოს და ელევა ისევ მალე, როგორც მალე იღებს. რამწამსვე გაქრება ფეჩში ცეცხლი, იმამსვე წამს თითონ ფეჩიც ცივდება.

უკანასკნელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება მაშინ, როდესაც ფეჩის კარებს მაგრა დავხურავთ, როგორც ამას უკანასკნელ დროში შვრებიან, სინამ ტრუბის დახურვით, ამისთვის რომ ნახშირ თავის რომელიც ოთახში შემოდის ძალიან ცუდი გავლენა აქვს სიმრთელეზედ.

რკინის ფეჩი შეიძლება შევადაროთ იმ ბედოვლათს, რომელიც ბევრს ფულს იღებს, მაგრამ ძალიან მალე ხარჯამს. ამისათვის სასარგებლოა, როდესაც ხმარობენ მისთვის იმისთანა შეშას, რომელიც მალე არ იწვება, მაგ. ქოქსის ხის შეშა შედარებით ძალიან ცოტა, მხოლოდ ერთნაირათ კი უნდა ენთოს. რასაკვირველია ეს დიდ ჯაფვას ითხოვს და მასთანაც მაინც მომეტებული ნაწილი სითბოსი ადის კომლის ასავალ მილში. ამისათვის რკინის ფეჩები შეეფერება იმისთანა სახლებს, რომლებიც თხოულობენ ძალიან მალე გათბობას, სინამ იმ ოთახებს, რომლებშიაც ავათმყოფები წვანან.

## ბუნების მეცნიერებიდგან

(მარიამა).

ყველა ყმაწვილს უყვარს გასეირნება მინდორში, ან ტყეში. იმ ყმაწვილსაც უყვარს, რომელიც ოთახში ზის, დიდი ქალაქის შუა; მაგრამ იმისი სახლის კარებიდამ ქალაქის ბოლომდინ შორს არის, ძალიან შორს; ძვირად შესვდება ხოლმე იმ ყმაწვილს ქალაქს გარეთ, მინდორში და ტყეში ყოფნა. ამისათვის იმას დაბადების დღეს მშვენიერი ვარდის ბუჩქი აჩუქეს. ეს ბუჩქი მთელი წელიწადი სულ მწვანეა და ყოველ თვე სულ ახალსა და ახალ ვარდებს გამოშლის ხოლმე. მაგრამ მოადგა გაჭირება ბუჩქს: იმან ჭკნა დაიწყო, რადგან იმის პატარა ტოტებზე პაწაწა, მოშავო-მწვანე ცხოველები დასახლდნენ და სწუწნიან იმის წვენს. ეს ცხოველები, ბალახის ტილები არიან. ისინი დღე და დღე მრავლდებიან ტოტებზე. ესრე რომ გამრავლდნენ დაუყენებლივ ვარდის ბუჩქი უთუოთ გაფუჭდება. ყმაწვილისთვის კი ეს ბუჩქი ბახჩაც არის, ტყეცა და მინდორიც. მოფრინდა ყმაწვილთან ოთახში მარიამა. იმისი ამობურთული, მაგარი ფრთები ისეთი წმინდებია; ტანისამოსი მუქი-წითელი აქვს შვიდი პაწაწა შავი წინწკლებით; თავი და წვივი ფეხები სრულებით შავი აქვს და ბრწყინვალე, თითქო ლაქ წასმული. ამის გარდა წითელი და მაგარი ფრთების ქვეშ, სხვა საკვირველი თხელი ფრთებიცა აქვს, მაგრამ ეს თხელი ფრთები ისეთი მაგარი და მტკიცეები არიან, რომ გაიჭიმებიან როგორც ყანაოზი ქოლგის ჯოხებზე, არ გაუშვებენ ჰაერს თავის შუა და დააფრენენ ბუზანკალს.

პატარა სტუმარი ჯდება ვარდის ბუჩქზედ. დღეს დილით ერთი კოკორი კიდევ მოსწყდა ბუჩქს: ბალახის ტილებმა იმდენი წვენი გამოსწუწნეს ტოტებს, რომ ამ კოკორს აღარ ეყო წვენი გასაზდელათ. ესლა მარიამა ჭია რასაიქს ვარდის ბუჩქზე? ამასაც ხომ არ უნდა რწყილის დედასავით დანარჩენი, ჯერ დაუმჭკნარი ფოთლები შეჭამოს? რა ქმნას ყმაწვილმა? ჩააგდოს მარიამა ბუჩქზე, თუ გააგდოს, მინამ არა გაუფუჭებია რა? ყმაწვილს მოსწონს მარიამა, იმან უნდა შაინახოს ის ხვალამდინ და ამისათვის არ აგდებს იმას ბუჩქიდამ. მერე ყმაწვილი წვება ქვეშსაგებში და იძინებს. მეორე დილას იმ ტოტზე, რომელზედაც მარიამა ზის, არც ერთი ბალახის ტილი არ არის; წინა დღეს კი ის ტოტი სრულებით დაფარული იყო ტილებით. ბუზანკალამ ფოთლები კი არა, ფოთლების მტრები—ბალახის ტილები გასწყვიტა.

ამაშ დეე ჩემ მებაღეთ იყოს ეს მარიამა, სთქვა ყმაწვილმა. და მართლათაც ბალახის ტილები დღე და დღე აკლდებოდნენ ბუჩქს და თითონ ბუჩქიც უფრო და უფრო კეთდებოდა: ტოტები რიგიანათ იზრდებოდნენ და ფოთლები მშვენივრათ გამწვანდნენ.

როცა მარიამა დაბერდა, ფოთლის ქვეითი პირზედ ერთი გუნდა მოყვითანო კვერცხები დასდო, სულ 10 თუ 12. ამ კვერცხებიდამ რამდენიმე დღის შემდეგ წვრილი, შავი, ნახევარ ფრჩხილის სიგძე ცხოველები გამოძვრნენ. ისინი ძალიან ჰგვანან პატარა ხვლიკებს, მხოლოდ ხვლიკები ტიტველები არიან და ესენი კი შავი ბალნით არიან შემოსილნი. ესენი არიან ბუზანკალის ჭიები, ბუზანკალის შვილები, რომლებიც რამდენიმე კვირის შემდეგ ისეთივე, წითელი, შავ წინწკლიანი, მაგარი ფრთის საფარველიანი მარიამებათ გამოვლენ, როგორც ამათი დედა იყო. ესლა ისინი დაძვრებიან ტოტებზე და ფოთლებზე და სჭამენ ყველა პატარა ცხოველებს, რომელნიც ვარდს ავლებენ, ბოლოს ისინი გაიზარდნენ და პარკი გააკეთეს—როგორც პეპელის ჭიებმა. 14 დღის შემდეგ ყოველ პარკიდამ თითო ბუზამკალი გამოდის. ეს ბუზამკალი ჯერ ყმაწვილია, მაგრამ ტანით ბებერზედ ნაკლები არ არის: მარიამები როგორც სხვა მწერები, როცა ჭიებათ არიან, მაშინ იზდებიან და მერე კი აღარ. აი ესლა გაშალეს იმათ თავისი ფრთები და მიაფრინავენ სხვა ფარდებთან, იმათი მტრების გასაწყვეტათ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 15 Сентября 1871 г. დუბელირის, (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.